ხელშეკრულება №2017/147

„ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები" (CPV კოდი: 79800000) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

22 ივნისი 2017 წელი

ერთის მხრივ, სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (შემდგომში „შემსყიდველი") მისი დირექტორის ზაალ აბაშიძის სახით და მეორეს მხრივ **შპს პერფექტი (ს/კ 405197095)** (შემდგომში „მიმწოდებელი") **მისი დირექტორის მარიამ კახელაშვილის სახით,** სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ თანხაზე:

1400,00 (ერთი ათას ოთხასი ლარი და 00 თეთრი) ლარი

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება")

მხარეები ვთანხმდებით და ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისთვის ღონისძიების (სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დაარსების დღე) ფარგლებში მოწვეული სტუმრებისთვის სასაჩუქრედ ბრენდირებული ფანქრები გრავირებით - 1,00 ლარი - - 400 ცალი - (CPV კოდი: 79823000) – 400,00 ლარი და ბრენდირებული ბურთულიანი კალმისტარი მეტალის კორპუსით მეორე მხრიდან სენსორულ ეკრანზე სამუშაო რეზინის თავით - 2,50 ლარი - - 400 ცალი - (CPV კოდი: 79823000) – 1000,00 ლარი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1400,00 (ერთი ათას ოთხასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.**

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესახებ წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე **5 სამუშაო დღის ვადაში.**

4.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4.4. დაფინანსების წყარო: **2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 პუნქტით განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი პირის (პირების) დასკვნა.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ზვიად ნადარეიშვილი და საწყობის გამგე ბაგრატ შურღაია.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა

6.1. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა **2017 წლის 27 ივნისს**

7. მხარეთა უფლება – მოვალეობები

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს დეტალური ინფორმაცია გასაწევი მომსახურების შესახებ.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით;
- გაწეული მომსახურების ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს და მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა;
- დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
- მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;
- გაწეული მომსახურების ნაკლოვანების შემთხვევაში თავისი ხარჯით უზრუნველყოს აღნიშნული ნაკლის გამოსწორება;
- გაუწიოს მომსახურება საკუთარი ძალებითა და ტექნიკური საშუალებებით;
- წინასწარ აცნობოს შემსყიდველს მოსალოდნელი შეფერხების შესახებ;
- ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემდეგი პირობებით:

8.1.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდებისას კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებთან და ადასტურებს შესაბამისი დასკვნით, ხოლო ამის შემდეგ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

8.2. ხელშეკრულების 5.2 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს განახორციელებს სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი ლაშა კალაძე და საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიებების სამსახურის უფროსი მარიამ ჯაბიძე.

8.3.ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

9.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დაეკისროთ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.3. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება ჯარიმის გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.4. დაკისრებული პირგასამტეხლო/ჯარიმა გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს/ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადისა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.5 თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე გაფრთხილებიდან 4 (ოთხი) სამუშაო დღეში არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

11.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომელისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობით შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ინტერესთა კონფლიქტი

13.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2017 წლის 21 აგვისტოს ჩათვლით.**

15. ზოგადი დებულებები

15.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

15.2 მხარეები თანმხდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნება დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება შემსყიდველს, ერთი - მიმწოდებელს

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი
სსიპ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა
საქართველოს ეროვნული ცენტრი
მის: ქ. თბილისი, ალექსიძის 1/3
ს/კ 211368474
ტელ.: 247-42-42
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა 200122900

დირექტორი

/ზაალ აბაშიძე /

მიმწოდებელი
შპს „პერფექტი"

მის: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ.14ა
ს/კ 405197095
ტელ.: 599197732
სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ნGE39TB 7889 9360 8010 0002

დირექტორი:

/მარიამ კახელაშვილი/